

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის

2018 წლის

სამოქმედო გეგმის

შესრულების წლიური ანგარიში

---



## I - ბიუჯეტირება

### 1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

#### 1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

#### **შესრულების მაჩვენებელი:**

მომზადებულია 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან;

საბიუჯეტო დოკუმენტაცია შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, მათ შორის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებს.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ (პირველი, მეორე და მესამე წარდგენა), 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გადამუშავებული დოკუმენტი, ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები და თანმხლები კანონპროექტები („საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“) წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე<sup>1</sup>.

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცდა „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი“, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებს. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის“ განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე<sup>2</sup>. ბიუჯეტის კანონის პროექტები და ბიუჯეტის კანონი განთავსებულია რედაქტირებად ფორმატში.

#### 1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTEF)

<sup>1</sup> <https://mof.ge/5187>

<sup>2</sup> <https://mof.ge/5187>



**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:**

მომზადებულია 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი;

2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები მომზადებულია არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში არანაკლებ ორი სამინისტროს მაგალითზე;

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია დეტალური ინფორმაცია;

სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები გაუმჯობესებულია, შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას; საქართველოს სამინისტროების მიერ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს.

მზადდება საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზების შედარება, რომელიც თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

**პერიოდი:** იანვარი-ივლისი

**პროგრესი:** 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2018-2021 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე<sup>3</sup>.

მომზადდა „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2018 წლის 1 მარტის N107 დადგენილებით. შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

მომზადდა 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის პირველადი ვერსია, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილ

<sup>3</sup> <https://mof.ge/5097>



ვადაში, ასევე ბიუჯეტის პროექტს ყველა წარდგენაზე თან გაყვა დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე<sup>4</sup>.

2019 წელს დაიწყო მუშაობა საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების მოსამზადებლად არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახული იქნება 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში.

სამინისტროების სამოქმედო გეგმების საბიუჯეტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ცვლილება შევიდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, რომლის მიხედვითაც სამინისტროების მიერ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონთან. ასევე, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით სამინისტროებმა საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში სათანადო ცვლილებები უნდა ასახონ წლიური ბიუჯეტის კანონის დამტკიცების შემდგომ, არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

### 1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, (ჩართული მხარეები: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები, დონორები)

**შესრულების მაჩვენებელი:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია განახლებულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის;

დაწყებულია პროგრამული ბიუჯეტის განახლებული მეთოდოლოგიის პილოტირება მუნიციპალიტეტებში.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 2018 წლის 27 ივლისს ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“<sup>5</sup> და განახლდა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია.

### 1.4 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:**

<sup>4</sup> <https://mof.ge/5177>

<sup>5</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400751?publication=4>



შემუშავებულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების მექანიზმები; განხორციელებულია ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები;

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.mof.ge](http://www.mof.ge)) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე.

შემუშავებულია კონცეფცია ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის მეშვეობით ([www.mof.ge](http://www.mof.ge)) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტებზე და ბიუჯეტის კანონზე მომზადებულია მოქალაქის გზამკვლევი, ასევე მომზადდა 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შერულების 6 და 9 თვის შესრულების შესახებ მოკლე გზამკვლევები. აღნიშნული, გზამკვლევები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის<sup>6</sup> მეშვეობით.

შემუშავებულია კონცეფცია ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით, რომლის საფუძველზე მიმდინარეობს ელექტრონული მოდულის მომზადება სამინისტროს ვებ-გვერდზე. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

**1.5 ფისკალური მართვის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში შემდგომი მოყვანა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:**

სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში „ფისკალური დისციპლინის ჩარჩოს გაძლიერება“ დოკუმენტში 2018 წლისთვის განსახორციელებელი შემუშავებული რეკომენდაციების ეტაპობრივი შესრულება:

არსებული ფისკალური დისციპლინის გადამუშავება და ცვლილებების შეტანა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში და მისგან გამომდინარე შესაბამისი რეგულაციების მომზადება.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური განმარტებების ასახვა.

<sup>6</sup> [https://mof.ge/mokalakis\\_gzamkvevi](https://mof.ge/mokalakis_gzamkvevi)



**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების შესაბამისად ცვლილებები მომზადდა, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომელიც აზუსტებს დღეს არსებული ფისკალური წესების გამოყენების პირობებს, ამკაცრებს მათი დაცვის ვალდებულებას და დარღვევის შემთხვევაში რეაგირების საკითხებს. ფისკალური წესების პროგნოზების წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახვისა და წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში მათზე ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება ემატება საბიუჯეტო კოდექსსაც.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი და საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ.

**1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:**

2017 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა 2017 წლის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. ანგარიშს დანართის სახით თან ერთვის „საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 სექტემბრის №1935 განკარგულებით დამტკიცებული) შესრულების ანგარიში. 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარდგენილია „ინფორმაცია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების



შესახებ<sup>7</sup>, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული პროგრამის, როგორც დაგეგმილი და მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგების, ასევე, დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორების თაობაზე.

2018 წლის გამავლობაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა და საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარედგინა პირველი<sup>8</sup>, მეორე<sup>9</sup> და მესამე<sup>10</sup> კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშს თან ახლავს ინფორმაცია ბიუჯეტის შუალედური შესრულების შესახებ. კვარტალური ანგარიშები რედაქტირებად ფორმატში განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

**1.7 კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავება და პროგრამების ეფექტიანობის შეფასების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური რისკების მართვის სამმართველო (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:** კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია გადამუშავებულია; მიმდინარეობს კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის პილოტირების ხელშეწყობა;

განხორციელდება საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის ჰარმონიზება საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) შესახებ კანონმდებლობასთან;

განხორციელდება მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამის თანამშრომელთა გადამზადება დონორების მხარდაჭერით.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მხარჯავი დაწესებულებებისა და მუნიციპალიტეტების შესაბამის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით, 2019 წლის 26-28 თებერვალს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, მსოფლიო ბანკისა (WB) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ჩატარდება კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის ტრენინგები. ასევე, დონორების მხარდაჭერით განხორციელდება საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის ჰარმონიზება საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) შესახებ კანონმდებლობასთან.

<sup>7</sup> [https://mof.ge/images/File/biuj2017\\_12tve/Programuli-22.03.2018.pdf](https://mof.ge/images/File/biuj2017_12tve/Programuli-22.03.2018.pdf)

<sup>8</sup> <https://mof.ge/5169>

<sup>9</sup> <https://mof.ge/5179>

<sup>10</sup> <https://mof.ge/5207>



### 1.8 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:** საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმდევ კანონის პროექტები „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“. კეროდ:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებები დაკავშირებულია სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასთან, მათ შორის გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდების მოცულობის რეგულირება და დღეს არსებული ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 2.0%-ის ნაცვლად, პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა ჯამში არ უნდა არემატებოდეს 1.0%-ს, ხოლო მისი ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს 20.0%-ის ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, იცვლება მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის აღარ იარსებებს გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19.0%.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებები მომზადებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად და ითვალისწინებს არსებული ფისკალური წესების შემდგომ დახვეწას.

## II - საგადასახადო პოლიტიკა და საბაჟო საკითხები

### 1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

#### 1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:**





- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების მიზნით, განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით რეგულირების ზეგავლენის შეფასების (ე.წ. RIA) დოკუმენტის მომზადება;

- საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტების მომზადება, დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო სისტემის შესახებ ევროკავშირის N2006/112/EC დირექტივასთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით;

- ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით უკვე (2017წ.) განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით მეორადი კანონმდებლობის შემუშავება.

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** -აღნიშნულ პერიოდში მომზადდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების მიზნით, განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით რეგულირების ზეგავლენის შეფასების (ე.წ. RIA) დოკუმენტი.

-საქართველოს კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია განხორციელდა შემდეგ დირექტივებთან: 2007 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 2007/74/EC დირექტივა (მგზავრთა დირექტივა); 1986 წლის 17 ნოემბრის საბჭოს მეცამეტე დირექტივა 86/560/EEC (დღგ-ის დაბრუნება) და 1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს 92/83/EEC დირექტივა (ალკოჰოლზე აქციზის სტრუქტურა).

-1986 წლის 17 ნოემბრის საბჭოს მეცამეტე დირექტივის 86/560/EEC პრაქტიკაში დანერგვის მიზნით 2018 წლის 24 აგვისტოს განხორციელდა ცვლილებები მეორად კანონმდებლობაში კერძოდ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებაში „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“.

-ამჟამად მიმდინარეობს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტზე მუშაობა დღგ-ის ევროპის საბჭოს დირექტივასთან 2006/112/EC საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით.

## 1.2 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების ანალიზი, არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების იდენტიფიცირება და კანონპროექტის მომზადება მათი აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება.

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები:

- დღგ-ისგან გათავისუფლდა საჭაერო ხომალდებისათვის და საერთაშორისო საზღვაო რეისების განმარტებული ხომალდებისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევა;



- აქციზისგან გათავისუფლდა იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ქარხნულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის, რომლებიც სავარძელ-ეტლით გადაადგილდებიან;
- თუ სატრანსპორტო საშუალება 90 დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილი ხდება სრულად დაიბრუნოს სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზი
- არამეწარმე ფიზიკური პირების მიერ წარმოებული ზოგიერთი საქონლის (საქონლის სახეების ჩამონათვალი დადგინდება კანონქვემდებარე აქტით) შესყიდვისას ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი დაიბეგრება გადახდის წყაროსთან მინიმალური 3 პროცენტთან განაკვეთით, საქონლის შემძენი პირის მიერ.
- საწარმოს მიერ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის წარმოებული პროდუქციის შესყიდვა აღარ ითვლება არაეკონომიკურ ხარჯად და არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, თუ ამ პირი მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისას/შემძენისას გამოწერილია საგადასახადო დოკუმენტი.
- მეწარმეებს 5 სხვადასხვა საგადასახადო დოკუმენტის ნაცვლად შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ერთიანი საგადასახადო დოკუმენტი.

**1.3 საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** იგეგმება მეწარმე ფიზიკური პირების დაბეგრის მექანიზმების გამარტივებისთვის შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ასევე, ორგანიზაციებისათვის, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის, მოგების გადასახადით დაბეგრის ახალი მოდელის გავრცელება. ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების მოგების ახალ მოდელზე გადაყვანის მიზანშეწონილობის განსასაზღვრად მუშაობის გაგრძელება. გადასახადების ადმინისტრირების მარეგულირებელი დებულებების დახვეწა.

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** აღნიშნულ საკითხებზე საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი 2018 წლის 1 ივლისიდან იბეგრება 1%-იანი განაკვეთით ნაცვლად 5% - ის.
- გაიზარდა მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა და ნაცვლად 100 000 ლარისა იქნება 500 000 ლარი.
- გადასახადის დეკლარირება და გადახდა მოხდება ყოველთვიურად, გაუქმდა მიმდინარე ე.წ. საავანსო გადასახდელები.
- მცირე ბიზნესს ექნება კანონმდებლობით დადგენილ შემხვევებში გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატი და სასაქონლო ზედნადები. შენარჩუნდა საქონლის აღრიცხვისთვის სპეციალური ჟურნალის წარმოების ვალდებულება. არავითარი სხვა ბუღალტრული აღრიცხვის ვალდებულება მცირე ბიზნესს აღარ აქვს



- მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი აღარ არის მეწარმე ფიზიკური პირის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი.
- ორგანიზაციების დაბეგვრა 2019 წლიდან ხორციელდება მოგების გადასახადის ახალი რეჟიმის პრინციპებით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მათ განთავისუფლებას ამ გადასახადისგან, რადგან ისინი მოგებას არ ანაწილებენ, ხოლო რაც შეეხება ფინანსურ ინსტიტუტებს ისინი მოგების გადასახადის ახალ რეჟიმზე 2023 წლიდან გადავლენ.

**1.4 ინვესტორებისათვის საგადასახადო გზამკვლევის “pocket tax book“ ახალი ვერსიის შემუშავება და ბროშურების სახით გამოცემა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ინვესტორების და გადასახადის გადამხდელების ინფორმირებულობის ამაღლება

**პერიოდი:** იანვარი–დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავებულია საგადასახადო გზამკვლევი “pocket tax book“, რომლის გამოცემაც იგეგმება 2019 წელს.

**1.5 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების / არსებული შეთანხმებების განახლების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება;

საგადასახადო მიზნებისათვის გამჭირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვა და მათი სრულყოფა. ამასთან, გლობალური ფორუმის ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის იმპლემენტაცია, აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვა და შესრულების მონიტორინგი;

„ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების“ (CbC) ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.



**პერიოდი:** იანვარი–დეკემბერი

**პროგრესი:** ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება მოლდოვასთან და საუდის არაბეთთან, ხოლო შეთანხმების ტექსტი ყირგიზეთის რესპუბლიკასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. შეთანხმებები ინიცირებული იქნა შემდეგ სახელწიფოებთან: მონტენეგრო, ალბანეთი, სამხრეთ აფრიკა, ტაილანდი, ჰონ კონგი, პანამა.

გლობალური ფორუმის ახალი 2016 მეთოდოლოგიის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციის შეფაების ფარგლებში, შევსებული იქნა OECD-ის სამდივნოსგან მიღებული კითხვარი. განხორციელდა შენიშვნებზე მუშაობა გლობალური ფორუმის სამდივნოსგან მიღებულ შენიშვნებზე და კომენტარებზე. მომზადებული იქნა შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი.

BEPS-ის მე-5 ღონისძიების FHTP ყოველწლიური მონიტორინგის ფარგლებში, OECD-ის სამდივნოს მივარდეთ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ფინანსური კომპანიის და ვირტუალური ზონის პირის რეჟიმის შესახებ შევსებული კითხვარები, რომელთაც საზიანო საგადასახადო პრაქტიკის ფორუმზე მიიღეს “potential harmful but actually not harmful” შეფასება. შემუშავებული იქნა ფინანსთა მინისტრის ბრძანება, BEPS-ის პროექტით გათვალისწინებული სავალდებულო ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რომელიც უმთავრესად ითვალისწინებს შეღავათიან რეჟიმთან დაკავშირებულ საგადასახადო გადაწყვეტილებების იდენტიფიცირებას, გადაწყვეტილებების სავალდებულო სპონტანურ ინფორმაციის გაცვლას და სტატისტიკის წარმოებას.

განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს შეფასებასთან დაკავშირებული მასალების მომზადებასა და პრაქტიკული განხორციელებისთვის.

BEPS-ის მე-6 ღონისძიების შეფასების ფარგლებში განხორციელდა საქართველოს მიერ გაფორმებული და ძალაში შესული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების ანალიზი. აღნიშნულის საფუძველზე შევსებული და OECD-ს სამდივნოსთვის წარდგენილი იქნა შეფასების კითხვარი, რომელიც ავასებს საქართველოს მიე გაფორმებულ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების შესაბამისობას BEPS-ის მე-6 ღონისძიების მინიმალურ სტანდარტთან. შეფასების შედეგად, აღიარებული იქნა რომ საქართველო განახორციელებს სტანდარტის დანერგვისთვის აუცილებელ ქმედით ღონისძიებებს.

BEPS-ის მე-13 ღონისძიების შეფასების ფარგლებში, განხორციელდა წინამოსამზადებელი სამუშაოები, ასევე შემუშავებული იქნა პირველად კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი. აღნიშნული ცვლილებების კანონპროექტი განსახილველად წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს.

BEPS-ის მე-14 ღონისძიების შეფასების ფარგლებში, OECD-ის ონლაინ პლატფორმაში ასახული იქნა MAP-ის სტატისტიკური მონაცემები, ასევე შესვებული იქნა შესაბამისი კითხვარი.

2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა „მრავალმხრივი საგადასახადო კონვენცია დასაბერი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ და აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით საქართველოს დათქმებისა და შეტყობინებების შესახებ დოკუმენტი.

**1.6 საბაჟო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტის მიღება**



**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის

**შესრულების მაჩვენებელი:** არსებული საბაჟო კანონმდებლობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის პროექტის გადამუშავება და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის (EU) №952/2013 რეგულაციასა და 2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

**პერიოდი:** იანვარი- დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავდა საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტი რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში და გაგრძელდა მუშაობა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან მაქსიმალურ მიახლოებაზე.

**2. რისკზე დაფუძნებული მიდგომებით, საგადასახადო და სახელმწიფო საზღვრის კვეთის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება**

**2.1 შემოსავლების სამსახურის საქმიანობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების შესახებ კვლევის ჩატარება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** შემოსავლების სამსახურის საქმიანობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების შესახებ კვლევა ჩატარებულია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** დაწყებულია ბიზნეს სექტორისა და ფიზიკური პირების კმაყოფილების კვლევა, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2018 წლის დეკემბრის ბოლოს, თუმცა დონორი ორგანიზაციის მიზეზით, ვადები დაკორექტირდა. ამ ეტაპზე დასრულების ვადა განსაზღვრული არ არის. პროექტი ხორციელდება G4G-თან ერთად.

**2.2 დღგ-ის ლეგიტიმული ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების პროგრამის შექმნა და იმპლემენტაცია**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** დღგ-ის ლეგიტიმური ზედმეტობის ავტომატური დაბრუნება ხდება ახალდშექმნილი პროგრამის მეშვეობით

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** დეკლარირების გზით წარმოშობილი და დაგროვებული ლეგიტიმური დღგ-ის ზედმეტობების დაბრუნების უზრუნველსაყოფად შემუშავდა რისკის კრიტერიუმები და შემცირდა 50 000 ლარზე მეტი ზედმეტობის მქონე გადამხდელების რაოდენობა. ასევე, დაინიშნა 314 ობიექტის შემოწმება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დაკვირვება და ანალიზი. ამავდროულად, მიმდინარეობს დარჩენილი ობიექტების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა.



დღგ-ის დაგროვებული ზედმეტობის შემცირების მიზნით, 2018 წელს გადამხდელებს ბიუჯეტიდან დაუბრუნდათ კუთვნილი 500 მილიონ ლარზე მეტი ზედმეტობა. ზედმეტობის დაბრუნების პროცესი საგრძნობლად გაუმჯობესდა წინა წლებთან შედარებით. გადაიხედა და შეიცვალა გადამხდელებისთვის ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების რისკის კრიტერიუმები.

დღეს არსებული ავტომატური დაბრუნების მოდულით 2017 წელთან შედარებით (8,712.3 ლარი), 2018 წელს 5-ჯერ მეტი დღგ-ის თანხა დაბრუნებული (46,587.6 ლარი).

ამასთან, 2018 წელს შეიქმნა დღგ-ის ლეგიტიმული ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების პროგრამა, რომელიც დეკლარაციების კონტროლის მექანიზმით ავტომატურად შეაფასებს გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციებს და რისკის კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრავს ლეგიტიმური, დაბრუნებას დაქვემდებარებული დღგ-ის ოდენობას. ამჟამად, მიმდინარეობს პროგრამის IT იმპლემენტაცია. 2019 წლის თებერვალში დაგეგმილია პროგრამის სატესტო რეჟიმში გაშვება.

### 3. სამსახურის ინსტიტუციური განვითარება და მდგრადობა

#### 3.1 მონაცემთა ბაზებში გადამხდელთა სეგმენტაცია სხვადასხვა ჭრილში და მონაცემთა სისწორის უწყვეტი კონტროლის სისტემის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებულია მონაცემთა ბაზებში გადამხდელთა სეგმენტაცია სხვადასხვა ჭრილში და შემუშავებულია მონაცემთა სისწორის უწყვეტი კონტროლის სისტემა

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** გადამხდელთა რეესტრის სანდოობის ხარისხის გასაზრდელად შემუშავდა კონცეფცია, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს გადასახადის გადამხდელთა შესახებ არსებული ინფორმაციის სრულყოფას და შემოსავლების სამსახურის მიერ ქმედებების მიზანმიმართულ განხორციელებას. კონცეფცია წარედგინა ფინანსთა სამინისტროს, რომელმაც ამ ეტაპზე მის განხორციელებაზე უარი განაცხადა. მიმდინარეობს ალტერნატიულ კონცეფციაზე მუშაობა.

#### 3.2 ელექტრონული საქმეთწარმოების სისტემის დანერგვა აუდიტის დეპარტამენტში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მუშაობა დაწყებულია საქმეთწარმოების სისტემის დანერგვაზე

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით პროცესების ეფექტიანად წარმართვისა და მონიტორინგის, მათ შორის, დროითი და შრომითი რესურსების რაციონალური გადანაწილების მიზნით, შემოსავლების სამსახურის სისტემაში წარმოიშვა ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის



საჭიროება. 2018 წლის 28 მარტს, სისტემის შექმნისთვის საჭირო ტექნიკური დავალების მომზადების მიზნით გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა კომპანია UGT-მ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართული იყო სამსახურის ცხრა სტრუქტურული ერთეული. ჯგუფს ხელმძღვანელობდა საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი. ორთვიანი მუშაობის შემდეგ UGT-იმ მოამზადა ტექნიკური დავალება. მომზადებული ტექნიკური დავალების საფუძველზე, პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად, ტენდერი გამოცხადდება 2019 წლის იანვარში.

აუდიტის საქმისწარმოების სისტემის დანერგვით საგადასახადო შემოწმების მთლიანი პროცესის ზედამხედველობა განხორციელდება ელექტრონულად. აუდიტის თანამშრომელს შესაძლებლობა ექნება ჩასატარებელი შემოწმების ყველა ეტაპი (დაგეგმვიდან დასრულებამდე) ასახოს პროგრამულად და ელექტრონული წვდომა ჰქონდეს ყველა იმ დოკუმენტთან (საკანონმდებლო აქტები, დავების გადაწყვეტილება, აუდიტის დასკვნა და სხვა.), რომელიც საჭიროა მიმდინარე აუდიტის პროცესში.

სისტემით მაქსიმალურად ეფექტურად მოხდება შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის ინფორმაციის დამუშავება, საწარმოთა სფეროების მიხედვით დაყოფა და საგადასახადო კონტროლის პროცესში წამოჭრილი თემების სისტემატიზაცია სფეროების და დარგების მიხედვით, რაც საწარმოთა რისკების სწორად განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

### 3.3 თანამშრომელთა ინდივიდუალური შეფასების სისტემების შემუშავება და დანერგვა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული და დანერგილია თანამშრომელთა ინდივიდუალური შეფასების სისტემა

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა. დეპარტამენტმა, მოდელის შექმნის პროცესში დეტალურად შეისწავლა განსხვავებული სპეციფიკის სამუშაოები.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს სისტემა ეფუძნება თანამშრომლის ინდივიდუალურ შეფასებას, რომელიც წარმოადგენს კომპეტენციების შეფასების მეთოდს და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- პროფესიული უნარების შეფასება (ე.წ Soft skills);
  - სპეციფიკური ტექნიკური ცოდნის შეფასება;
  - უმეტეს შემთხვევაში, ორივე ზემოთ ჩამოთვლილ ერთად.
- სისტემა შესაფასებლად შემდეგ უნივერსალურ კომპეტენციებს მოიაზრებს:
- ხარისხის, რისკებისა და ოპერაციების მართვა;
  - ლიდერობა და მართვა;
  - გუნდურობა;
  - პროაქტიურობა / ინიციატივა;
  - პრობლემის გადაჭრის / გადაწყვეტილების მიღების უნარი და კრეატიულობა;



- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
- ანალიტიკური აზროვნება;
- საბაზისო კომპიუტერული უნარ-ჩვევები;
- სტრატეგია და ხედვა;
- სპეციფიური პროგრამული უნარები;
- კანონმდებლობა;
- უცხო ენა.

შეფასება ხდება 4 ბალიანი სისტემის მეშვეობით. კომპეტენციების მნიშვნელოვნება განსხვავდება დეპარტამენტების, სამმართველოებისა და დონეების (პოზიციების) მიხედვით და თითოეულ კომპეტენციას გააჩნია თავისი წონა, რომელთა საერთო ჯამი არ აღემატება 100 %-ს. შეფასების პროცესის პირველი ეტაპია თვითშეფასება, თუმცა იგი არ მოქმედებს საბოლოო ქულაზე. ამის შემდგომ კი, პროცესი არის დადმავალი და საფეხურებრივი, რაც გულისხმობს, ყველა შემფასებლის მიერ მის უშუალო დაქვემდებარებულის შეფასებას. პროცესი მოქნილია და დამოკიდებულია დეპარტამენტების სტრუქტურაზე, თანამდებობრივ გადანაწილებასა და სხვა სპეციფიკურ საკითხებზე.

#### 4. ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა

**4.1 ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დამმობილების პროექტი "ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციასთან მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვის ხელშეწყობა"**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** პროექტის განხორციელება დაწყებულია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ტექნიკური ნაწილის - „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან“ (DCFTA) გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების - „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (Common Transit Convention / CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (Single Administrative Document/SAD) კონვენციებთან მიერთებისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (New Computerized Transit System/NCTS) დანერგვის მიზნით, 2018 წლის მარტში დაიწყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ტვინინგის პროექტი.

პროექტის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის მხრიდან თოთოეულ კომპონენტზე განისაზღვრა კომპონენტის ლიდერი. 2018 წლის 6 ივნისს თბილისში, გაიმართა პროექტის მმართველი კომიტეტის პირველი სხდომა სადაც განხილულ იქნა და დამტკიცდა 6 თვიანი სამოქმედო გეგმა. 2018 წლის 11 ივნისიდან დაიწყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ასევე, მინდინარე წლის 20 სექტემბერს გაიმართა კომიტეტის მეორე სხდომა, სადაც შეჯამდა განხორციელებული აქტივობების შედეგები და შემუშავდა მომავალი ექვსი თვის სამუშაო გეგმა. ექსპერტები მუშაობენ სამი მიმართულებით:





- საკანონმდებლო ბაზის ანალიზი;
- IT სისტემების შესწავლა;
- სამსახურის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების განვითარება და ცნობადობის ამაღლება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი. მომზადდა კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის დოკუმენტი. ასევე, განხორციელდა IT სისტემების ანალიზის პირველი ეტაპი და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. ექსპერტებმა განიხილეს და წარმოადგინეს რეკომენდაციები სამსახურში განსახორციელებელი სტრუქტურული ცვლილებების შესახებ.

**4.2 გლობალ ფორუმის ფარგლებში წევრი ქვეყნების ექსპერტ-შეფასებაში მონაწილეობის მიღება, მათ შორის ექსპერტ-შემფასებლების სტატუსით, შეფასების ნგარიშების მომზადება და განხილვა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბელგიისა და ჯერსის შეფასების ანგარიშები მომზადებულია, წარდგენილია შემფასებელთა ჯგუფის შეხვედრაზე და დამტკიცებულია; შემოსავლების სასამხურის წარმომადგენელთა, როგორც ექსპერტ შემფასებელთა მიერ მომზადებულია ლუქსემბურგის შეფასების ანგარიში.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორი თანამშრომლის მიერ მოხდა სამი ქვეყნის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და გერმანიის იურისდიქციის შეფასება გლობალ ფორუმის საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის სტანდარტების მიხედვით. მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მოხდა ბელგიის ანგარიშის, ხოლო ივნისის თვეში-გერმანიის ანგარიშის დამტკიცება. ლუქსემბურგის შეფასების ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის მაისში, ხოლო ანგარიშის განხილვა და დამტკიცება დაგეგმილია 2019 წლის თებერვალში. ამას გარდა, 2018 წელს გლობალური ფორუმის სტანდარტის მიზნებისთვის ექსპერტ-შემფასებლის სერტიფიცირება გაიარა კიდევ ერთმა თანამშრომელმა.

### III - მაკროეკონომიკური პროგნოზირება და ანალიზი

#### 1. მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება

##### 1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგების გაცნობა (რეგულარული განხილვების სისტემის დანერგვა).

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი



**პროგრესი:** გაიზარდა ანალიტიკური ინფორმაციის არეალი; ყოველთვიური პრეზენტაციისა და ბროშურასთან ერთად პერიოდულად მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენოებებზე, ინვესტორებზე და ა.შ.; გაფართოვდა მიმდინარე ანგარიშისა და საგარეო ვალის ანალიზის მიმართულეობა; დაიწყო მუშაობა საგარეო მოწყვლადობის ანალიზზე. 2017-2018 წლებში გავლილი მაკროეკონომეტრიკული პროგნოზირების სასწავლო კურსის შემდეგ დაიწყო მუშაობა ახალი მოდელების შემუშავებაზე. ამასთან ერთად, წლის დასაწყისში შეფასდა ფისკალური მულტიპლიკატორები, რაც საფუძვლად დაედო ფისკალური რეფორმის მოსალოდნელი შედეგების შეფასებას.

**1.2 ეკონომიკური აქტივობის ახალი ანალიტიკური მაჩვენებლების შესწავლა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ეკონომიკური აქტივობის ანალიტიკური პროდუქტების გაფართოება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** პერიოდულად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება (IMF-ის პირდაპირი და ონ-ლაინ ტრენინგები ანალიტიკური მაჩვენებლების გამოყენების მიზნით. შედგენილია სხვადასხვა სამუშაო ფაილი, სადაც ხორციელდება ანალიტიკური მაჩვენებლების მიღება, დამუშავება და გრაფიკული ანალიზი. გრძელდება დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. გაუმჯობესებულია მეთოდოლოგია ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის. დაინერგა საბაჟოს ოპერატიული მონეაცემების ანალიზის პროცესი საგარეო ვაჭრობის ტრენდების შესაფასებლად.

**1.3 ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული ანალიზი და გავრცელება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** დაინერგა ეკონომიკური მდგომარეობის სექტორული ანალიზის პროცესი, რომელიც დაყოფილია რეალურ, ფისკალურ, საგარეო და მონეტარულ სექტორებად. ხდება სხვადასხვა სტატისტიკური და ადმინისტრაციული ინფორმაციის, მათ შორის ოპერატიული მონაცემების, მიღება, დამუშავება და ანალიტიკური ანგარიშების მომზადება სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის.

**1.4 ფისკალური პოლიტიკის პერიოდული ანალიზი**



**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** კვარტალური დეფიციტის მონიტორინგი, სტრუქტურული დეფიციტის შესწავლა, სტრუქტურული დეფიციტის მეთოდოლოგია, ბიუჯეტის ყოველთვიური დეფიციტის მონიტორინგი.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი 2018-2021 წლებისთვის, რომელიც დაერთო საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს პროექტს. აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით და მოიცავს მაკროეკონომიკური რისკების ანალიზს, სახელმწიფო საწარმოების ანალიზს, სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შესახებ ინფორმაციას, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვების ხელშეკრულებების ანალიზს და სახელმწიფო საწარმოთა კვაზი-ფისკალური (არაკომერციული) აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლისთვის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში პირველად აისახა საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი. ანალიზი განსაზღვრავს ეკონომიკური შოკების დადგომის ნეგატიურ გავლენას და მასშტაბს ანალიზში ასახულ საწარმოებზე და აღნიშნული რისკების თავიდან აცილების, ნეგატიური ეფექტების შემცირების რეკომენდაციებს.

### 1.5 მაკროეკონომიკური მოდელირება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** დინამიური სტოკასტური საერთო წონასწორობის მოდელისთვის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციები, მაკროეკონომიკური მოდელის კვარტალური მოდიფიკაცია და სპეციფიკაცია.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავდა სამოქმედო გეგმა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად და გაიწერა აქტივობები 2019 წლის ბოლომდე; ჩატარდა აუცილებელი ტრენინგები, მათ შორის, მაკროეკონომეტრიკული პროგნოზირება, ფისკალური პოლიტიკის ანალიზი, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ანალიზი საერთო-წონასწორობის დინამიკურ-სტოხასტიკური მოდელების (DSGE) გამოყენებით და სხვა. მოდელში უკვე ასახულია საქართველოს ეკონომიკის ყველა არსებითი მახასიათებელი, რაც აუცილებელია პოლიტიკის გავლენის ადეკვატური შეფასებისათვის. გაიწერა აქტივობათა გეგმა 2019 წლისათვის, რაც მიზნად ისახავს მოდელის კალიბრაციის დახვეწასა და პროგნოზირების სრულყოფას.

### 1.6 მოწყვლადობის დიაგნოსტიკა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი



**შესრულების მაჩვენებელი:** საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** დაიხვეწა სახელმწიფო ვალის მასტაბილიზებული მიმდინარე ანგარიშის გაანგარიშებისა და მთავრობის ვალის მასტაბილიზებული ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების მოდელები. შემუშავებულია აქტივობათა გეგმა საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებისათვის, სადაც ცენტრალურ როლს საგარეო მოწყვლადობის შემცირება წარმოადგენს. გაანალიზებულია მიმდინარე ანგარიშის შემცირების შესაძლებლობები საშუალოვადიან პერიოდში.

### 1.7 მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის განახლება

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა ფისკალური რისკების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა გაანალიზებული როგორც საგარეო მაკროეკონომიკური რისკები, მათი რეალიზაციის შედეგები და პოლიტიკის პასუხები, ასევე სახელმწიფო საწარმოებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის შეთანხმებებიდან მიმდინარე რისკები. აღნიშნული დოკუმენტი, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებთან ერთად, დაერთო 2019 წლის ბიუჯეტს.

## 2. შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება

### 2.1 ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირების გაუმჯობესება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი გამოყენება, შემოსავლებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტების შესწავლა, აქციზური საქონლის ელასტიურობის კოეფიციენტის შესწავლა.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** შეფასდა როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის, დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერიოდისათვის.

### 2.2 დარიცხული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი



**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** მონაცემების გამოყენება ანალიტიკური და პროგნოზის მიზნებისათვის.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სისტემატურად მიმდინარეობს საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვების ყოველთვიური კალენდარული კორექტირებული მონაცემების ანალიზი, დღგ-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით.

### 3. ფისკალური რისკების გამოვლენა და შეფასება

#### 3.1 სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების იდენტიფიცირება და შეფასება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

**შესრულების მაჩვენებელი:** სახელმწიფო საწარმოებიდან მონაცემების მიღების სისტემის/მეთოდოლოგიის დახვეწა; სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების რეესტრის შექმნა; სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის შედეგების ანალიზი და ფისკალური რისკების შეფასება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო საწარმოთა ფისკალური რისკების შეფასების მიზნით, რიგი უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან, მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საწარმოთა საქმიანობის, მათი ფინანსური მაჩვენებლების, პირობითი ვალდებულებების და მათი საქმიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ.

მიღებული მონაცემების საფუძველზე, მომზადდა ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საწარმოთა პირობით ვალდებულებების, საქმიანობის შედეგების ანალიზისა და ფისკალური რისკების შეფასების შესახებ. დოკუმენტი დაერთო „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს (III წარდგენა).

გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წარმოდგენილი ანგარიშგებების ინფორმაციის ხარისხი, ასევე მიმდინარე დოკუმენტში წინა წლებისგან განსხვავებით აისახა სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი.

#### 3.2 კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, შეფასება და ანალიზი

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

**შესრულების მაჩვენებელი:** კვაზი-ფისკალური აქტივობების რეესტრის შექმნა, მათგან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო საწარმოებიდან მიღებული ინფორმაციიდან ოთხი ძირითადი საწარმოსთვის იდენტიფიცირებულ იქნა კვაზი-ფისკალური აქტივობები, შეფასდა მათგან მომდინარე ფისკალური რისკები და წმინდა დანახარჯები.



**3.3 საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, აღრიცხვა და შეფასება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

**შესრულების მაჩვენებელი:** საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების რეესტრის შექმნა; საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული PFRAM მოდელის გამოყენება, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შეფასებისა და სისტემური ანალიზის მიზნით;

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** ამ ეტაპისათვის შედგენილია ფისკალური რისკის მატარებელი ძირითადი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების რეესტრი, რომელიც მიმდინარეობს ენერგეტიკის სექტორში.

**შენიშვნა:** 2018 წელს არ შემოსულა არცერთი პროექტი, რომელიც დაექვემდებარებოდა PFRAM-ით შეფასებას. ამასთან, 2019 წლის გაზაფხულისთვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის მიერ სავარაუდოდ ჩატარდება დამატებითი ტრენინგი მოდელის ეფექტურად გამოყენების მიზნით.

**3.4 სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი და სტრეს ტესტების ჩატარება შესაძლო ფისკალური რისკების შეფასების მიზნით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

**შესრულების მაჩვენებელი:** სენსიტიურობის ანალიზის და სტრეს ტესტების მეთოდოლოგიის შემუშავება, მისი გამოყენება ზოგიერთი მსხვილი სახელმწიფო საწარმოს მონაცემებზე დაყრდნობით

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით შემუშავდა სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზის მოდელი. სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მნიშვნელობის გათვალისწინებით მოდელისთვის შერჩეულ იქნა 7 საწარმო (მსხვილი საწარმოები, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან საგარეო ფაქტორების მიმართ). აღნიშნულთა საწარმოთა გასული სამი წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე მომზადდა მომავალი ხუთი წლის ფინანსური ანგარიშგებების პროგნოზები, რომლებიც ასახავს საწარმოების სენსიტიურობას (სტრეს-ტესტებს) სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების და სცენარების მიმართ.

მოდელში ძირითადად განხილულ იქნა მაკროეკონომიკური პერსპექტივის 6 სცენარი:

- საბაზისო სცენარის პროგნოზები;
- მშპ-ს დაბალი ზრდის სცენარი;
- გაცვლითი კურსის შოკის სცენარი;
- საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი;
- კომბინირებული შოკის სცენარი;
- ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარი.



## IV - აღრიცხვა და ანგარიშგება

### 1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

**1.1 IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2018 წელს განსაზღვრული სტანდარტების (IPSAS 18, IPSAS 20, IPSAS 25, IPSAS 26, IPSAS 32) მოთხოვნების ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც მოიცავს 2018 წელს დანერგილი IPSAS სტანდარტების (IPSAS 18, IPSAS 20, IPSAS 25, IPSAS 26, IPSAS 32) მოთხოვნებს

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ; აქტებში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც ასახავს 2018 წელს დანერგილი IPSAS სტანდარტების (IPSAS 18, IPSAS 20, IPSAS 25, IPSAS 26, IPSAS 32) მოთხოვნებს.

**1.2 ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში 2017-2018 წლებში ასახული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრების ინფორმირება, სასწავლო პროგრამების მომზადება და გადამზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრები იცნობენ და აღრიცხვაში იყენებენ 2017-2018 წელს დანერგილი IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** სახაზინო სამსახურის მიერ მომზადდა ტრენინგ-პროგრამა 2017--2018 წლებში დანერგილ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (და გადამზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**1.3 IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2019 წელს განსაზღვრული სტანდარტების ანალიტიკა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის პროექტის მომზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური



**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ასახავს IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2019 წელს განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნებს

**პერიოდი:** ივნისი-დეკემბერი

**პროგრესი:** IPSAS სტანდარტების სამოქმედო გეგმით ((2017-2020) გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის საერთაშორისო მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები. ამასთან, განხორციელდა IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2019 წელს განსაზღვრული სტანდარტების ანალიტიკა. მიმდინარეობს ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება, რომელიც დამტკიცდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით 2019 წლის 1 აპრილამდე.

**1.4 IPSAS სტანდარტებში ცნობადობის ამაღლება თვითმმართველობის ერთეულების წარმომადგენლებისათვის**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სემინარების, სამუშაო შეხვედრების და ა.შ. შედეგად, თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები იცნობენ IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** IPSAS სტანდარტების დანერგვის სტრატეგიის ფარგლებში მოეწყო სემინარები, სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები და ა.შ თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებისათვის.

**1.5 თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად დამხმარე პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, საერთაშორისო ექსპერტის მიერ შემუშავებულია დამხმარე პრაქტიკული სახელმძღვანელო

**პერიოდი:** იანვარი-ივნისი

**პროგრესი:** თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, საერთაშორისო ექსპერტის მიერ შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ძირითად ღონისძიებებს და რეკომენდაციებს IPSAS სტანდარტების პრაქტიკულ დანერგვასთან დაკავშირებით.

**1.6 საპილოტე თვითმმართველი ერთეულების შერჩევა და მათთვის IPSAS სტანდარტების შესაბამისად მეთოდოლოგიის შემუშავება**





**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საპილოტე მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავებულია IPSAS სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია, ადგილობრივი ბიუჯეტების სპეციფიკის გათვალისწინებით

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შერჩეულ იქნა 11 საპილოტე მუნიციპალიტეტი. საპილოტე მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავდა IPSAS სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია, ადგილობრივი ბიუჯეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს მოამზადებენ საპილოტე ერთეულები.

## 2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განვითარება

**2.1 ხაზინის ერთიან ანგარიშზე საბიუჯეტო ორგანიზაციების ფაქტობრივი შემოსულობების მართვის მოდულის შეფასება/ანალიტიკა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფაქტობრივი შემოსულობების მართვის ბიზნეს-პროცესების ანალიტიკური დოკუმენტი

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:**

**შენიშვნა:** არ დაწყებულა

**2.2 ხაზინის მთავარ წიგნში შემოსულობების ბუღალტრული გატარებების ინტეგრაციისათვის შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებულია ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის მეთოდის საფუძველზე შემოსულობების ბუღალტრული გატარებების ინტეგრაციისათვის შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკური დოკუმენტი

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:**

**შენიშვნა:** არ დაწყებულა

## 3. ფულადი სახსრების მართვის რეფორმა



**3.1 ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება და ფულადი სახსრების ეფექტური მართვის ინსტრუმენტების განვითარება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსური ინსტრუმენტების განვითარების შედეგად, ფუნქციონალურად გაუმჯობესებულია სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში ფულადი სახსრების მართვის მოდული

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდის თვალსაზრისით 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინამ ბლუმბერგის სისტემაში გამართა სულ 68 აუქციონი. ამასთან, ფუნქციონალურად დაიხვეწა ფულადი სახსრების განთავსებისათვის საჭირო ფასიანი ქაღალდების დაჯგუფების ელექტრონული მოდული, რომელიც ლიკვიდობის მართვის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს.

**3.2 ფულადი სახსრების მართვის დეპარტამენტის თანამშრომელთა დატრენინგება ფინანსური ბაზრების საკითხებზე**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსური ბაზრების საკითხებზე გადამზადებულია ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 2018 წლის ნოემბრის თვეში ხაზინის წარმომადგენლების მონაწილეობით მოეწყო სამუშაო ვიზიტი ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროში. ვიზიტი ეძღვნებოდა ფინანსურ ბაზრებთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ როგორცაა: ფულადი სახსრების პროგნოზირების, ანგარიშსწორების, გარიგებების, აღრიცხვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კონტროლისა და რისკების მართვის შესახებ გამოცდილების გაზიარებას.

**V - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა**

**1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** 1. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებულია



ლონისძიებები; 2. ჩატარებულია კონფერენცია; 3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2017 წლის წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** 1. წარმატებით განხორციელდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით 2018 წლისათვის გათალისწინებული ყველა ღონისძიება; განხორციელდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შედეგად, შემუშავდა შესაბამისი ანგარიში.

2. 2018 წლის 19 ოქტომბერს ჩატარდა ყოველწლიური კონფერენცია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ; განხორციელდა რეგიონალური კონფერენცია საქართველოსა და სომხეთის საჯარო სექტორის შიდა აუდიტის მენეჯერებისათვის „მაღალი ხარისხის აუდიტორული საქმიანობის განხორციელების არსებული საკითხები და მოთხოვნები“.

3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2017 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის.

**1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** 1. შემუშავებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სახელმძღვანელო; 2. შემუშავებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის ჩამოყალიბების წესებისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად მეორე ეტაპის, მენეჯერული კონტროლის ჩამოყალიბების სახელმძღვანელო; 3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარების ფარგლებში გადამზადებულია მინიმუმ ორი სამინისტროს მმართველობითი რგოლი მინუმუმ 3 სხვადასხვა მიმართულებით.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** 1. 2018 წელს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავდა ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის სახელმძღვანელო და გზამკვლევი.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის ჩამოყალიბების წესებისა და პროცედურების შეახებ ინსტრუქციის შესაბამისად, შემუშავებულია მეორე ეტაპის, კერძოდ მენეჯერული კონტროლის ჩამოყალიბების სახელმძღვანელო, რომელიც დანართის სახით ინტეგრირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან.

3. ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება(GIZ)-ის მხარდაჭერით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, 4 სამინისტროს(გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო.) მენეჯერებისთვის გაიმართა ტრენინგი „რისკების ეფექტური მართვა საჯარო დაწესებულებებში“, რაც არის წინაპირობა რისკების მართვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად დაწესებულებებში;



ასევე, ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებითა და ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით 4 სამინისტროში(შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და განსახლების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო.) გაიმართა პრეზენტაციები ცნობიერების ამაღლებისათვის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის კუთხით. განისაზღვრა აღნიშნული სისტემის დანერგვაში მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულების როლებისა და პასუხისმგებლობები.

### 1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** 1. შიდა აუდიტის სუბიექტების განვითარება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში (მათ შორის აჭარის ა/რ-ში), მათი საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით; 2. გაძლიერებულია შიდა აუდიტორთა კვალიფიკაცია ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთად განხორციელებული ტრენინგების საშუალებით; 3. შიდა აუდიტორთა პრაქტიკული გამოცდილების ამაღლება სულ მცირე 1 ფინანსური ან შესაბამისობის პილოტური აუდიტის და 1 ინფორმაციული სისტემების პილოტური აუდიტის განხორციელების მეშვეობით.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** 1. პროექტის „გამართული შიდა კონტროლის სისტემა ეფექტური თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში, ჰარმონიზაციის ცენტრის, USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი 8 მუნიციპალურ ერთეულში(ზუგდიდი, ბათუმი, თელავი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, მცხეთა, რუსთავი). რომელსაც დაესწრო თითოეული რეგიონის ყველა შიდა აუდიტორი. ამასთან, ზუგდიდის, ქობულეთისა და თელავის მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, განხორციელდა 3 სისტემური აუდიტის პილოტური პროექტი.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გაიმართა სემინარი საქართველოსა და სომხეთის საჯარო სექტორის შიდა აუდიტის მენეჯერებისათვის თემაზე: „მაღალი ხარისხის აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას არსებული საკითხები და მოთხოვნები“. ასევე, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში შედგა სამუშაო შეხვედრა შიდა აუდიტორებთან ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით.

3. განხორციელდა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) პილოტური აუდიტორული შემოწმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით. პილოტურ პროექტს წინ უძღოდა ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ -ისა და პროექტის „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის ტრენინგი.

ასევე, განხორციელდა 2 პილოტური აუდიტორული შემოწმება საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროში.



## VI - ინფორმაციული ტექნოლოგიები

### 1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** კონფიგურაციის მოდულის გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე; ნაშთების დაგეგმვის ფუნქციონალის გაფართოება (პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს ნაშთების აღრიცხვის გზით); სტრუქტურული ცვლილების ცნობის გაფართოება საბიუჯეტო ერთეულებს შორის გადატანის მიზნით; ბიუჯეტისა და ვალის მართვის სისტემებს შორის საინტეგრაციო მოდულის რეფაქტორინგი; ხაზინის სისტემიდან ბიუჯეტის სისტემაში კონვერტაციების შესაბამისი ინფორმაციის ავტომატური სინქრონიზაცია და შემოსულობების დაგეგმვის, დაზუსტებისა და შესრულების კონტროლის პროცესისთვის საჭირო ხაზინასთან საინტეგრაციო ფუნქციონალის შექმნა.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** გაფართოვდა რეპორტირების ფუნქციონალი და დაემატა რამდენიმე ახალი სტატისტიკური რეპორტი. დასრულდა კონსოლიდაციის მოდულის გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე. დასრულდა კონფიგურაციის მოდულის გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე - ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტესტირება. სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის სისტემაში (eGLE) დასრულდა 2018 წლის სამუშაო პერიოდის გახსნასთან დაკავშირებული სამიგრაციო სამუშაოები. სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის სისტემაში (eGLE) დასრულდა რეპორტების გაფართოების დავალების პირველი ფაზა. დასრულდა eDMS სისტემასთან ინტეგრაციის ამოცანა. დასრულდა ხაზინის სისტემასთან სერვისების ცვლილების ამოცანა (ცვლილება გამოწვეული იყო ვალდებულებების რეფორმის გამო). დასრულდა ცვლილების ცნობების სავალიდაციო სქემის გაფართოების ამოცანა.

### 1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ხაზინის ერთიან სისტემაში ხელშეკრულებების და ვალდებულებების გაერთიანების რეფორმის განხორციელება; ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლის რეფორმის მეორე ეტაპისათვის - შემოსულობების ნაწილის ანალიტიკა და ტექნიკური დავალების შემუშავება; შესაბამისი ბუღალტრული გატარებების ხაზინის მთავარ წიგნში ასახვა; მიმდინარე რეფორმების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სისტემას დაემატა ახალი მოდულები:

- არასახელფასო დაკავებები;
- რაიონის კოდეზზე გაწერილი სახაზინო კოდების დათვალიერება;
- შეტყობინების გაგზავნის ფუნქციონალი;



- პირდაპირი ჩარიცხვების ჩანართი;
- საბილინგო გადარიცხვების მოდული, რომელშიც ჩაერთო სსიპ სერვისების განვითარების სააგენტო;
- დაგროვებითი საპენსიო სქემის ფუნქციონალი;
- ადგილობრივი ბიუჯეტების მიხედვით გადასახადების გადანაწილების ფუნქციონალი;
- ფულის მართვის მოდული;
- პორტალს go.mof.ge დაემატა SMS ავტორიზაციის საშუალება.

**შეიცვალა:**

- მენიუს მართვა;
- კონვერტაციის ტიპის საგადახდო მოთხოვნის და მობრუნებების დამუშავების პროცესი;
- პირველადი დოკუმენტების ჩატვირთვის და დამუშავების ლოგიკა;
- მწვანე დერეფნის ფუნქციონალი;
- SWIFT-ის ტრანზაქციების დამუშავება;
- სისტემური ოპერაციების მოდული;
- პირველადი დოკუმენტების ჩატვირთვის და დამუშავების ლოგიკა;

ხელშეკრულების და ვალდებულების გაერთიანების რეფორმის ფარგლებში ხაზინის ელექტრონული სერვისები დასრულდა ვალდებულების და ხელშეკრულების გაერთიანების რეფორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე ელექტრონულ სისტემაში ცვლილებების შეტანა და ახალი ფუნქციონალების დამატება. მიმდინარეობს სსიპ სააღსრულებლო ეროვნული ბიუროდან შეტყობინებების, სააღსრულებლო ფურცლების და ინკასოს ელექტრონულად მიღების სერვისის ტესტირება. დასაწერად მომზადდა ეროვნული ბანკიდან საინკასო გატარებების მიღების და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან მიღებული საინკასო დავალებებთან დაკავშირების ფუნქციონალი და ინკასოს დამუშავების პროცესის ავტომატიზაცია. მიმდინარეობს პორტალის ახალ დიზაინზე მუშაობა.

**1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება; ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** მოხდა DMNAT-ის მონაცემთა ბაზის სრული მიგრაცია. შემუშავდა eTreasury სისტემასთან დაკავშირებული ახალი სერვისები (პირველადი დოკუმენტების გენერირება, ინვოისების ავტომატური შექმნა, გაგზავნა და სხვა). ჩატარდა პროექტების, საინვესტიციო ხაზების და კომპონენტების სტრუქტურის რეფაქტორინგი. დასრულდა ავტომატური მიმოცვლის სერვისები eBudget სისტემასთან. დასრულდა eTreasury სისტემასთან სერვისების ცვლილებების ამოცანა, რომელიც გამოწვეული იყო ვალდებულების და ხელშეკრულების გაერთიანების რეფორმის გამო. დასრულდა აუქციონის ჩატარების დღის სისტემაში წანაცვლებასთან დაკავშირებული საკითხი. დაკორექტირდა გარკვეული რეპორტების ლოგიკები.



### 1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სისტემის ახალი ვერსიის გავრცელება მომხმარებელ ორგანიზაციებში; ახალი საკანონმდებლო ცვლილებებიდან და განახლებული სტანდარტიდან გამომდინარე სისტემაში შესაბამისი ცვლილებების ასახვა; მომხმარებლის მოდულის (self-service) დამატება; სხვა სისტემებთან ინტეგრირება. სისტემის მუდმივი განვითარება მოთხოვნების შესაბამისად.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სისტემას დაემატა თანამშრომლის პორტალი (Self-Service), რისი საშუალებითაც ორგანიზაციის თანამშრომლებს აქვთ განსაზღვრული წვდომა საკუთარ პირად ინფორმაციაზე.

სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალები და მოდულები, ესენია:

- პროფესიული საჯარო მოხელეების რეზერვების მართვის ფუნქციონალი;
- პროფესიული საჯარო მოხელეების კლასების ფუნქციონალი;
- ორგანიზაციების გაუქმების ფუნქციონალი;
- თანამშრომელთა შეფასების ჯამური ასახვის მოდული;

eHRMS სისტემაში დაინერგა SMS ავტორიზაციის მეთოდი. განხორციელდა ბაზაში არსებული დოკუმენტაციის არქივირება, განახლდა დანიშვნების, შვებულებების, სამუშაო აღწერილობის, სიახლეების მართვის და ანგარიშგებების ფუნქციონალები.

### 1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის ინფრასტრუქტურული და სისტემური მდგრადობის ამაღლება. ახალი სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემების დანერგვა, ბიზნეს პროცესების ITIL-თან შესაბამისობაში მოყვანა, ISO 27000 სტანდარტების დანერგვა და ინფორმაციული უსაფრთხოების დონის ამაღლება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** ვებაპლიკაციების უსაფრთხოების ზრდის მიზნით, ჩატარდა სოფტვეარული ბალანსერის ინსტალაცია და მისი Reverse Proxy რეჟიმში გადაყვანა. გაიზარდა PFMS სისტემის მონაცემთა შენახვის სივრცე და ბაზების წარმადობის ოპტიმიზაცია. მოხდა მონაცემთა ბაზების Always On მოდელის დანერგვა, რამაც გააუმჯობესა რეპორტების გენერირების სიჩქარე. გაფართოვდა სარეზერვო კოპირების სისტემა დედუპლიცირებული სისტემისთვის ახალი მოდულის დამატებით. განახლდა და მნიშვნელოვნად გაძლიერდა როგორც სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემები, ისე პროგრამული უზრუნველყოფა. მიღწეული იქნა საბანკო გადარიცხვების სისტემის თავსებადობა ახალი ვერსიის მონაცემთა ბაზასთან.



## VII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

### 1.1 ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

#### შესრულების მაჩვენებელი:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარებული ცნობიერების ამაღლების 20 პრეზენტაცია.

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ფასს სტანდარტები;

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული მსს ფასს სტანდარტების (IFRS for SMEs) სატრენინგო მოდულები; შემუშავებული მეოთხე კატეგორიის (მიკრო) საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი;

ანგარიშგების წარდგენის ჩანართის მეშვეობით ([eservices.rs.ge](http://eservices.rs.ge) | [SARAS](http://SARAS)) გასაჯაროებული 500 საწარმოს ანგარიშგება სამსახურის პორტალზე ([Reportal.ge](http://Reportal.ge));

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით ჩატარდა 22 პრეზენტაცია. განახლებული ფასს სტანდარტი ითარგმნა და განთავსებულია სამსახურის ვებგვერდზე. აღნიშნული სატრენინგო მოდულების შემუშავება ფასს ფონდის მიერ ამ ეტაპზე არ დასრულებულა. მიმდინარეობს ფასს ფონდის მიერ უკვე გამოშვებული მოდულების თარგმნა. მეოთხე კატეგორიის (მიკრო) საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი, ასევე, მეოთხე კატეგორიის (მიკრო) საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის თვითსწავლების სახელმძღვანელო, შემუშავებულია და განთავსებულია სამსახურის ვებგვერდზე. ანგარიშგების წარდგენის ჩანართის მეშვეობით ([eservices.rs.ge](http://eservices.rs.ge) | [SARAS](http://SARAS)) სამსახურს ანგარიშგება წარუდგინა 629 სუბიექტმა, ამათგან 580 ანგარიშგება გასაჯაროებულია სამსახურის პორტალზე ([Reportal.ge](http://Reportal.ge)).

### 1.2 საგადასახადო რისკის მართვის პროცესის ოპტიმიზაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური და სსიპ შემოსავლების სამსახურის რისკების სამმართველო

#### შესრულების მაჩვენებელი:

ელექტრონული სერვისების ვებგვერდზე ([eservices.rs.ge](http://eservices.rs.ge)) განთავსებული დამატებითი სივრცე, სადაც იქნება განთავსებული 500-მდე საწარმოს ფინანსური შედეგები პროგრამულად დამუშავებად ფორმატში;

მეტი მონაცემები 500-მდე საწარმოს შესახებ საგადასახადო რისკების მართვისთვის და პროცესის ოპტიმიზაციისთვის;





საგადასახადო რისკის მატარებელი პირების შემოწმების პროცესში დახარჯულ შრომით და ფინანსურ რესურსების ოპტიმიზაცია;

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 629 საწარმომ პროგრამულად დამუშავებად ფორმატში წარადგინა ფინანსური ანგარიშგების 4 ძირითადი ფორმა. ხელმისაწვდომია მონაცემები 629 საწარმოს შესახებ. ხოლო რაც შეეხება საგადასახადო რისკის მატარებელი პირების შემოწმების პროცესში დახარჯულ შრომით და ფინანსურ რესურსების ოპტიმიზაციას, აღნიშნული საკითხი მიეკუთვნება სსიპ შემოსავლების სამსახურის რისკების სამმართველოს კომპეტენციას.

### 1.3 ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:**

30-მდე აუდიტორული ფირმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;

გამოქვეყნებული აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ სამსახურის საერთო ანგარიში;

500-მდე საწარმოს მიერ ჩატარებული და სამსახური მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებები, რომლითაც შეფასდება მათი ფინანსური მდგრადობა და სისტემების გამართულობა;

500-მდე საწარმოს მონაცემების დამუშავების შედეგად შესაბამის საწარმოთათვის ავტორიზირებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭება

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი განხორციელდა 7 აუდიტორული ფირმის მიმართ, მიმდინარეობს მონიტორინგის 8 პროცედურა. მიმდინარეობს მუშაობა აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშზე. სამსახურის მიერ გასაჯაროებულია 580 ანგარიშგება, მიმდინარეობს ერთობლივი სამუშაო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან. ხოლო რაც შეეხება საწარმოთათვის ავტორიზირებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭებას, აღნიშნული საკითხი მიეკუთვნება სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის კომპეტენციას.

## VIII - რესურსების მართვა

1. მომსახურების სააგენტო - ელექტრონული აუქციონის ვებგვერდის eauction.ge და ელექტრონული სისტემის ERP მოდერნიზაცია; სასაწყობე მეურნეობის განვითარება

### 1.1 მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო



**შესრულების მაჩვენებელი:** მომხმარებელთა რიცხვის გაზრდა, სააგენტოს სერვისების გაფართოება, შემოსავლების გაზრდა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 2018 წლის განმავლობაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქმედებები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ვებგვერდზე eAuction.ge რეგისტრირებულია 94000-მდე ფიზიკური/იურიდიული რეზიდენტი/არარეზიდენტი პირი. 2018 წლის I-IV კვარტლის განმავლობაში ვებგვერდს 9636 პარტნიორი ფიზიკური/იურიდიული პირი შემოუერთდა, საიდანაც 8418 ფიზიკური, ხოლო 1218 იურიდიული პირია. 2018 წლის I-IV კვარტლის განმავლობაში პარტნიორი ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ გამოცხადებულია 32000-მდე ლოტი. პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობდა ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ღონისძიებათა ხელშეწყობა (ინტერნეტ და საჯარო აუქციონების გამოცხადება, განცხადებების მონიტორინგი, მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდება ცხელი ხაზისა და ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით). ვებგვერდის მომსახურებიდან შემოსულმა თანხამ გადააჭარბა დაგეგმილს და 1 127 000 ლარზე მეტი შეადგინა. 2018 წლის განმავლობაში 8330-ზე მეტი ონლაინ კონსულტაცია, ხოლო ცხელი ხაზის მეშვეობით 26 000-ზე მეტი კონსულტაცია გაიცა. ასევე, სოციალურ ქსელებში მიმდინარეობდა სააგენტოს სერვისების (აუქციონი, e-მაღაზია) პოპულარიზაცია. პერმანენტულად ხორციელდებოდა იმეილ მარკეტინგი, რომელიც მომხმარებელს აწვდიდა ინფორმაციას ვებგვერდზე არსებული სარეალიზაციო ქონებების შესახებ.

მომხმარებელთათვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ვებგვერდზე eAuction.ge დაემატა ახალი სერვისი, რომელმაც დაინტერესებული პირებისათვის ვებგვერდ eAuction.ge-ზე ქონების შეძენა/გაფორმების პროცედურები გაამარტივა. პირი, რომელიც ელექტრონულ აუქციონზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებულ ქონებას შეიძენს, გამარჯვებისთანავე მიიღებს შეტყობინებას, განკარგულების და სხვა თანდართული დოკუმენტის ელექტრონულად მიღებისა და ჩამოტვირთვის შესაძლებლობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ წარმატებით მუშაობს ვებგვერდის მობილური აპლიკაცია, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს გაიაროს რეგისტრაცია და ივაჭროს სასურველ ლოტზე საკუთარი სმარტფონის საშუალებით. დღეისათვის ჩამოტვირთვების რიცხვმა 7000 ერთეულს გადააჭარბა.

სააგენტოს მიერ განხორციელდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელთათვის არსებული პრაქტიკის და ელექტრონული აუქციონის გამოცდილების გაზიარება, გაიმართა ვირტუალური აუქციონი, დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ დაწვრილებითი ინფორმაცია დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცედურების თაობაზე.

მუდმივად მიმდინარეობდა მომხმარებელთა ინფორმირება ვებგვერდზე არსებული ცვლილებებისა და სიახლეების თაობაზე.

განახლდა მუშაობა საზოგადოებრივ ცენტრებში მომსახურების სააგენტოს სერვისების გავრცელების თაობაზე. მომზადებულია მემორანდუმი და იგეგმება სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის შესახებ მისი გაფორმება. მომზადდა მომხმარებელთათვის სახელმძღვანელოები, რომელიც განთავსდება საზოგადოებრივ ცენტრებში და უზრუნველყოფს პროცესის მიმდინარეობის გამარტივებას (რეგისტრაცია, ყიდვა-გაყიდვა, პაროლის აღდგენა). ასევე, მომზადდა საინფორმაციო ფლაერი და იგეგმება ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მათი გავრცელება. ასევე, ცენტრის თანამშრომლებისათვის იგეგმება ტრენინგების კურსი სააგენტოს სერვისების და ელექტრონული აუქციონების შესახებ.



## 1.2 eauction.ge-ს სისტემის დახვეწა/მოდერნიზაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** ახალი სერვისების დანერგვა, ვებგვერდის დიზაინის განახლება და ფუნქციონალის ოპტიმიზაცია, პარტნიორ ორგანიზაციებთან სერვისების ინტეგრაცია, ელექტრონული საგადახდო სისტემის გაფართოება.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ვებგვერდს დაემატა ახალი მნიშვნელოვანი ფუნქციონალი, რომელიც გულისხმობს არსრულების ეროვნული ბიუროს აუქციონებზე განკარგულებების მიღებას ელექტრონული ფორმით. პირი, რომელიც ელექტრონულ აუქციონზე სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებულ ქონებას შეიძენს, დოკუმენტის ელექტრონულად მიღების შესახებ პირობის დათანხმების შემთხვევაში, მოგებულ ლოტზე დოკუმენტაციის ატვირთვის შესახებ ინფორმაციას მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიიღებს. ამასთან, eAuction.ge-ს პირად გვერდზე ჩამოტვირთული დოკუმენტაცია ჩამოტვირთვისთანავე ჩაითვლება ჩაბარებულად.

ასევე, ვებგვერდზე შეიქმნა თანამონაწილეობის ახალი ფუნქციონალი, რომლის მიზანია, დაინტერესებულ მომხმარებლებს (ორ და მეტ) მიეცეს საშუალება კონკრეტულ ლოტზე ივაჭრონ ერთად და გამარჯვების შემთხვევაში სისტემაში დაფიქსირდნენ სრულყოფილებიან გამარჯვებულებად. აღნიშნული ფუნქციონალით ისარგებლებენ მომხმარებლები ელექტრონულად ურთიერთთანხმობის საფუძველზე, შესაბამისი თანხმობის კოდით.

ვებგვერდს დაემატა კიდევ ერთი ახალი ფუნქცია, კერძოდ, შესაძლებელი გახდა წიაღის ეროვნული სააგენტოსა და ქონების ეროვნული სააგენტოს არშემდგარ დასრულებულ აუქციონებზე დაინტერესებული პირებისგან ქონების ხელახლა გამოცხადების მოთხოვნის გაგზავნა.

მომხმარებელთა მოთხოვნების საფუძველზე და საჭიროებებიდან გამომდინარე დაემატა და დაიხვეწა სხვადასხვა სახის რეპორტი/ფუნქციონალი:

მომხმარებლებისთვის გამარტივდა ვაჭრობის პროცესი, კერძოდ, აუქციონზე ვაჭრობისას ფასის დადების ღილაკს ბიჯის განხორციელებისას დაემატა „Loading“-ის ფუნქცია, ბიჯების შეცდომით დადების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, გაიღივრა ლოტის გვერდზე საკადასტრო კოდის გრაფა, რომლის საშუალებითაც აუქციონში მონაწილე პირი ავტომატურად გადავა საჯარო რეესტრის ვებგვერდის შესაბამის გვერდზე; გარკვეული ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით დაიხვეწა ვებგვერდზე ფიზიკური და იურიდიული პირის რეგისტრაციის პროცესი, კერძოდ შეიზღუდა მომხმარებლის სახელისა და პაროლის გრაფებში ანალოგიური მონაცემის ჩაწერის შესაძლებლობა; განხორციელდა რეგისტრირებული ლოტის კლონირების გვერდის, ვებგვერდიდან სიახლეების გამოწერისა და ამორჩეული ლოტების გვერდების ოპტიმიზაცია/რედიზაინი, კერძოდ, შეიზღუდა ამორჩეული ლოტების სიაში დასამატებელი ლოტების რაოდენობა, ასევე შეიზღუდა ლოტის რეგისტრაციის დროს მოკლე აღწერილობის ჩანართში სიმბოლოების რაოდენობა, ასევე დაემატა და დაიხვეწა ფუნქციონალური ღილაკები; დაიხვეწა ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია. ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ დაემატა შეტყობინება რეგისტრაციის წარმატებით გავლის შესახებ. უშედეგოდ დასრულებულ ლოტების სიაში განთავსდა შემდეგი ინფორმაცია: ლოტის სტატუსი, თარიღი და საწყისი ფასი.



განხორციელდა რიგი ცვლილებები მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესის გამარტივების მიზნით, დაიხვეწა გაფართოებული ძიების ფუნქციონალი; შექმნა ახალი ფუნქციონალი, რომელიც გულისხმობს მომხმარებლის მხრიდან ვებგვერდით სარგებლობის მრავალჯერადი მომსახურების სურვილის შემთხვევაში ონლაინ რეჟიმში მოთხოვნის გაგზავნას და სასურველი თარიღების მითითებას. მომხმარებლებისთვის შესაძლებელი გახდა სამუშაო სიაში და აუქციონის შედეგებში, როგორც ლოტების ერთიანად თარიღების ცვლილება, ასევე მათი კლონირება. შექმნილია აუქციონების შედეგების ახალი გვერდი, სადაც განთავსდა ლოტზე არსებული პარამეტრების ჩამონათვალი, რეპორტირები ხორციელდება სასურველი პარამეტრის მონიშვნის შესაბამისად (შესაძლებელია სასურველი პარამეტრების დამახსოვრება და მისი სურვილის მიხედვით ცვლილება).

დაიხვეწა ვებგვერდზე ადმინისტრატორის პანელში სხვადასხვა რეპორტი, როგორცაა აუქციონის შედეგები, გადახდები, ლოტის ცვლილების ისტორია, მომსახურების აქტივაცია პარტნიორ ორგანიზაციებზე, ასევე ადმინისტრატორს საშუალება მიეცა მომხმარებელს გაუგზავნოს აქტივაციის ბმული განმეორებით, პრობლემური გადახდები, დრაფტების ცვლილების ისტორია, ლოტების ადმინისტრირების გვერდზე მოხდა ორგანიზაციების ჩამონათვალის კომბო ყუთის განახლება. მონიშნული თანხების მართვა, მიმდინარე ლოტების ადმინისტრირება, მომხმარებლების მიერ დადასტურებული ლოტების ერთდროულად დაწუნება და უარყოფის მიზეზის - კომენტარის მითითების შესაძლებლობა, მომხმარებლების მიერ ვებგვერდზე მითითებული ანგარიშის ნომრების მიხედვით ძიების შესაძლებლობა, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის შექმნილი სერვისის მერქნულ რესურსზე ატვირთული დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებების რეპორტირები ატვირთვის თარიღების მიხედვით, ასევე ვებგვერდზე განთავსებული ვიპ ლოტების დეტალური რეპორტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა კონკრეტული მომსახურების გაწვევისას განაცხადების, მომხმარებლებისა და თარიღების მიხედვით ძიება. ადმინისტრატორის მხარეს დაემატა დანიშნულების ფანჯრის რედაქტირების ფუნქცია, დაიხვეწა ვებგვერდზე კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების ჩამონათვალის ფილტრები.

წარმატებით დასრულდა საწყობის მართვის სისტემის ERP და ვებგვერდის eAuction.ge ინტეგრაციის პირველ ეტაპზე მუშაობა, რომელიც გულისხმობს არშემდგარი აუქციონების ავტომატურ, განმეორებით (სამეტაპიანი) გამოცხადებას ვებგვერდზე eAuction.ge. მოხდა სისტემის სრული ტესტირება და უახლოეს მომავალში დაგეგმილია რეალურ რეჟიმში ახალი სერვისის დანერგვა.

მიმდინარეობს მობილური აპლიკაციის ახალ ვერსიაზე მუშაობა, კერძოდ, ტესტირების პროცესშია ახალი ფუნქცია, რომელს მოიცავს სარეალიზაციო ქონების განთავსების პროცედურას ვებგვერდზე eauction.ge მობილური აპლიკაციის მეშვეობით. დაგეგმილია ასევე ვებგვერდის მსგავსად მობილურ აპლიკაციაშიც ინტერნეტ მაღაზიაში შექმნა-გაყიდვის ფუნქციის ჩაშენება. ასევე, აპლიკაციას დაემატება ახალი მოდულები, როგორცაა: მომხმარებლის სამუშაო სივრცე, პირადი პროფილი, საბანკო რეკვიზიტების ადმინისტრირება.

ვებგვერდზე გაუმჯობესდა ფიზიკური პირების მომსახურების სერვისი და დაემატა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის ფუნქცია, კერძოდ, ვებგვერდზე გამყიდველ ფიზიკურ პირს ეგზავნება შეტყობინება კუთვნილ ლოტზე ბიჯის განხორციელების შესახებ, ასევე, აუქციონის დასრულების შემდეგ ქონების რეალიზაციისა და აუქციონის უშედეგოდ დასრულების თაობაზე.

კიდევ უფრო გამარტივდა ვებგვერდზე ქონების განთავსების პროცედურა, მომხმარებლისთვის შესაძლებელი გახდა უკვე შექმნილ ლოტზე დაამატოს ახალი პირადი საბანკო ანგარიშის ნომრები, მიუთითოს და აირჩიოს კონკრეტული ლოტისათვის მისთვის სასურველი საბანკო ანგარიშის ნომერი.



წარმატებით გაეშვა და დაიდო ელექტრონული აუქციონების ვებგვერდის eAuction.ge მობილური აპლიკაციის რამდენიმე ვერსია, რომლის ჩამოტვირთვებმა 2018 წლის განმავლობაში 7000 ერთეულს გადააჭარბა. აპლიკაციას დაემატა შემდეგი მოდულები: სასურველი ლოტების ამორჩეულ ლოტებში დამატება/წაშლა; მომხმარებლის პირადი პროფილი-რედაქტირება-პაროლის ცვლილება; ლოტის გვერდზე ფოტოსურათის გადიდება/გაფართოება. ახალი მოდულების საშუალებით მომხმარებლებს კიდევ უფრო გაუმარტივდათ ვებგვერდზე eAuction.ge რეგისტრაციისა და ვაჭრობის პროცედურები.

განახლდა საქართველოს ბანკის „GeorgianCard“-ის გადახდების სქემა, ასევე დაემატა ლოგირების ფუნქციონალი. მოხდა ფუნქციონალის ოპტიმიზაცია და ზოგადი ბაგების გასწორება.

### 1.3 ელექტრონული სისტემის ERP განვითარება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** სისტემის განვითარება, ახალი მოდულების შექმნა, რეპორტირების სისტემის გაუმჯობესება.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ERP სისტემაში შეიქმნა ახალი ფუნქციონალი, რომლის მეშვეობით აუქციონების საიტზე, წინასწარ განსაზღვრული პარამეტრებით, ავტომატურად, მომხმარებლის ჩაურევლად ცხადდება აუქციონები, აუქციონის შედეგების მიხედვით ERP-ში ავტომატურად იქმნება ყველა საჭირო დოკუმენტი.

მომხმარებლების მიერ აუქციონების მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგის მიზნით დამუშავდა რეპორტირების ახალი სისტემა.